საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია
The National Association of Local Authorities of Georgia

ვახტანგ გადელიას
სენაკის მუნიციპალიტეტის მერს

16 ივნისი 2022

ბატონო ვახტანგ

მოგახსენებთ, რომ შვეიცარიის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ახორციელებს საქართველოში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროგრამას, რომლის უშუალო შემსრულებელები არიან საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია და საერთაშორისო საკონსულტაციო კონსორციუმი "Mezopartner". ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ერთ საპილოტე მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი განვითარების პოლიტიკის ფორმირების ხელშეწყობა, დიალოგის წახალისება ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის, ეკონომიკის ჩარღმავებული კვლევა და განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის მხარდაჭერა.

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ქალაქ ფოთთან ერთად თქვენი მუნიციპალიტეტი შერჩეულია პროგრამის სამიზნე ერთეულად, რაც მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს მისცემს საშუალებას მონაწილეობა მიიღონ კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებსა და სემინარებში რომელიც გაიმართება ქალაქ ფოთში.

გთხოვთ გამონახოთ დრო და შეხვდეთ შვეიცარიელ ექსპერთა დელეგაციას ამა წლის 22 ივნისს (სავარაუდო დრო დღის 2 საათი). შეხვედრის მიზანია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი განვითარების პროგრამების გაცნობა. გთხოვთ შეხვედრა დაგვიდასტუროთ იმელზე tnadirashvili@nala.ge

ღრმა პატივისცემით

დავით მელუა
აღმასრულებელი დირექტორი